

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა,
შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის მინისტრის პირველ მოადგილეს
ქალბატონ თამარ გაბუნias



საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა,
შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

15 05



030166607661820

მოქალაქე ქაჯაძე ე.გ.მ.ტ.

(მ)

(სახელი, გვარი)

მცხოვრები ვ.ჩ. 3 მ.შ.ჩ. ქობ. 9.3.123

(მისამართი)

პ/ნ 01027048088

ბელ: 558000449

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

წარმოვადგენთ სტრუქტურულ მოწყობას ქობულაძე-
ქაჯაძე ს.გ.მ.ტ. და მ.შ.ჩ. 3 მ.შ.ჩ. ქობ. 9.3.123

ხელმოწერა - ქაჯაძე ე.გ.მ.ტ.

მოწმობა - ქაჯაძე ე.გ.მ.ტ.

მიმღები 678


თარიღი

დანართი

შენიშვნა (ხარვეზის შემთხვევაში)

ხელმოწერა ქ.კ.გ.მ.ტ.

თარიღი 31.03.2021.



რეცეპიენტი კამკამიძე გიორგი

დაბადების თარიღი 23/

დონორი კამკამიძე ქეთევანი

დაბადების თარიღი 31/

მასალის აღების თარიღი

11.11.2020

Flow DSA-XM

Class I (capture bead 1 HLA I) neg

Class II (capture bead 2 HLA IIa) neg

Class II (capture bead 3 HLA IIb) neg

გამოკვლევა შეასრულა




თარიღი

12/11/2020

ვებგვერდი, 29/05/2017
სარეგისტრაციო კოდი
470230000.22.035.016446

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის მინისტრის
ბრძანება №01-31/ნ
2017 წლის 29 მაისი ქ. თბილისი

ტრანსპლანტაციის საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ

„ადამიანის ორგანოთა გადანერგვის შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის
შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1

დამტკიცდეს თანდართული ტრანსპლანტაციის საბჭოს დებულება.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის მინისტრი

კატერინე ტიკარაძე

დანართი

ტრანსპლანტაციის საბჭოს
დებულება

მუხლი 1. ტრანსპლანტაციის საბჭოს სტატუსი

ტრანსპლანტაციის საბჭო (შემდგომში – საბჭო) არის საქართველოს შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის სათათბირო ორგანო.

მუხლი 2. საბჭოს საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები

თავის საქმიანობაში საბჭო ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით,
საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, საქართველოს
საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებითა და ამ დებულებით.

მუხლი 3. საბჭოს შემადგენლობა

1. საბჭოს პირველადი შემადგენლობა განისაზღვრება საქართველოს შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ინდივიდუალური
ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. საბჭოს შემადგენლობაში ცვლილების

საკითხს წყვეტს საბჭო, სრული შემადგენლობის უმრავლესობით და ფორმდება საბჭოს გადაწყვეტილებით.

2. საბჭოს მუშაობაში მონაწილეობის უფლება აქვთ საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს მთავრობის სხვა წევრებს, სახელმწიფო დაწესებულებების, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების, ჯანმრთელობის დაცვის სერვისების მიმწოდებელი დაწესებულებების წარმომადგენლებს და დამოუკიდებელ დარგობრივ ექსპერტებს.

3. საბჭოს სამდივნოს ფუნქციებს ასრულებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (შემდგომში – სამინისტრო) ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტი.

მუხლი 4. საბჭოს ფუნქციები

საბჭოს ფუნქციებია:

ა) ადამიანის ორგანოს, ორგანოთა ნაწილების, ქსოვილებისა და უჯრედების (შემდგომში – ორგანოს) ნებაყოფლობით გაცემასთან, აღებასთან, შენახვასთან და „ორგანოთა გადანერგვის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში, სხვა ადამიანისათვის გადანერგვასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა;

ბ) სამინისტროსათვის რეკომენდაციების მიწოდება ორგანოთა ექსპორტ-იმპორტთან დაკავშირებულ (მ.შ. წერილობითი თანხმობის გაცემასთან, წერილობითი თანხმობის გაუქმებასთან და სხვ.) საკითხებზე;

გ) ორგანოთა გადანერგვის სფეროში კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციებისა (გაიდლაინების) და კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლების) მომზადების ხელშეწყობა;

დ) ორგანოთა გადანერგვის სფეროში კანონმდებლობის სრულყოფის მიმართულებით წინადადებების მომზადება;

ე) ორგანოთა გადანერგვის სფეროში საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების მიმართულებით სამინისტროს მხარდაჭერა;

ვ) ორგანოთა გადანერგვის სფეროში არსებული პრობლემური საკითხების განხილვა და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი უწყებებისათვის სათანადო რეკომენდაციების მიწოდება;

ზ) ორგანოთა გადანერგვის სფეროში სხვადასხვა ქვეყნების კლინიკებთან თანამშრომლობის ხელშეწყობა, მათ შორის, სამეცნიერო-პრაქტიკული მიმართულებით;

თ) სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელთა, ადგილობრივ და საერთაშორისო ექსპერტთა/ორგანიზაციათა მიერ ორგანოთა გადანერგვის მიმართულებით წარდგენილი წინადადებების, რეკომენდაციებისა და ნაშრომების განხილვა და, საჭიროების შემთხვევაში, სათანადო რეკომენდაციების მომზადება;

ი) ორგანოთა გადანერგვის მიმართულებით ჯანმრთელობის დაცვის პერსონალის მზადებასთან (მ.შ. უწყვეტ სამედიცინო განათლებასთან) დაკავშირებული პროგრამების შემუშავების ხელშეწყობა, მათ განხილვაში ჩართულობა და, საჭიროების შემთხვევაში, სათანადო რეკომენდაციების მომზადება;

კ) საექიმო სუბსპეციალობაში – „ტრანსპლანტოლოგია“ დამოუკიდებელი საექიმო საჭმთანობის უფლების განმსაზღვრელი დოკუმენტის (მოწმობის) მინიჭებასთან

დაკავშირებით საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროფესიული განვითარების საბჭოსათვის რეკომენდაციების მიწოდება;

ლ) ორგანოთა გადანერგვის ახალი შეთოდების თაობაზე ინფორმაციის განხილვა და საჭიროების შემთხვევაში, სათანადო რეკომენდაციების მომზადება;

მ) ორგანოთა გადანერგვის სფეროში ჩართულ სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელთა საქმიანობის კოორდინირების ხელშეწყობა;

ნ) საქართველოში გვამურ ორგანოთა გადანერგვის სტიმულირების გზების განხილვა, სათანადო რეკომენდაციების შემუშავება და შესაბამისი უწყებებისათვის მიწოდება;

ო) საბჭოს კომპეტენციებიდან გამომდინარე, ორგანოთა გადანერგვის სფეროში სათანადო რეესტრების წარმოება (მ.შ. სამედიცინო დაწესებულებათა რეესტრი, რომლებიც ფლობენ ორგანოთა ექსპორტ-იმპორტის თანხმობას, ტრანსპლანტაციის საბჭოს გადაწყვეტილებათა რეესტრი ცოცხალი დონორისაგან ორგანოთა აღების შემთხვევების შესახებ);

პ) კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.

მუხლი 5. საბჭოს უფლებამოსილებანი

საბჭო თავისი საქმიანობის განსახორციელებლად უფლებამოსილია:

ა) მოამზადოს რეკომენდაციები და წინადადებები დასახული ამოცანების მისაღწევად;

ბ) შეისწავლოს დასახული ამოცანების შესრულების ხარისხი და შეიმუშაოს რეკომენდაციები მათი ეფექტურობის ამაღლების მიზნით;

გ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში მოითხოვოს და მიიღოს ყველა სახის საჯარო ინფორმაცია სამთავრობო, არასამთავრობო და დონორი ორგანიზაციებისაგან, ასევე, სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებისაგან;

დ) განახორციელოს მაკოორდინირებელი ორგანოს ფუნქცია ორგანოთა გადანერგვის სფეროში, სიტუაციური ანალიზისა და არსებული კვლევების მონაცემთა საფუძველზე, შეიმუშაოს დარგის განვითარებისათვის საჭირო სტრატეგიები და მიაწოდოს რეკომენდაციები მინისტრს და სხვა შესაბამის ორგანოებს, მარეგულირებელი გარემოს სრულყოფისათვის;

ე) მოამზადოს წინადადებები საბჭოს შემადგენლობაში ცვლილებების შეტანის შესახებ;

ვ) განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებანი.

მუხლი 6. საბჭოს წევრის უფლებამოსილებანი

1. საბჭოს წევრი უფლებამოსილია:

ა) წინასწარ გაეცნოს განსახილველ საკითხებს, მოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია, გამოთქვას აზრი და მიაწოდოს საბჭოს საკუთარი წინადადებები;

ბ) განახორციელოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული სხვა უფლებამოსილებანი.

2. საბჭოს წევრს განსახილველი საკითხის მიმართ ინტერესთა კონფლიქტის წარმოქმნის შემთხვევაში დაუყოვნებლივ უნდა შეუწყდეს გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის მიღების უფლება.

მუხლი 7. საბჭოს საქმიანობის ზოგადი წესი

1. საბჭოს სხდომები იმართება თავმჯდომარის მოწვევით ან საბჭოს სიითი შემადგენლობის ერთი მესამედის მოთხოვნით.

2. საბჭოს სხდომა იმართება წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის მიხედვით.

3. საბჭოს სხდომას ხელმძღვანელობს საბჭოს თავმჯდომარე.

4. საბჭო უფლებამოსილია, თუ სხდომას ესწრება წევრთა ორი მესამედი.

5. გადაწყვეტილების მიღება ხდება ღია კენჭისყრით. კონკრეტულ საკითხებთან მიმართებით საბჭომ, კანონმდებლობით დადგენილი წესით, შეიძლება მიიღოს გადაწყვეტილება ფარული კენჭისყრის გამართვის შესახებ. გადაწყვეტილება მიიღება საბჭოს დამსწრე წევრთა უმრავლესობით. ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტია თავმჯდომარის ხმა.

6. საბჭოს გადაწყვეტილება ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელის მოწერით ადასტურებს სხდომის თავმჯდომარე და მდივანი.

7. თავმჯდომარის გადაწყვეტილებით ან მასთან შეთანხმებით, საბჭოს მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად, შეიძლება მოწვეულ იყვნენ გარეშე პირები (დარგის სპეციალისტები), სათათბირო ხმის უფლებით.

8. საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკურ უზრუნველყოფას ახორციელებს მდივანი (სამდივნო).

9. მდივანი (სამდივნო) ვალდებულია, სხდომაზე განსახილველი საკითხები სათანადო მასალებთან ერთად არანაკლებ სამი დღით ადრე მიაწოდოს საბჭოს ყველა წევრს, მოწვეულ სპეციალისტებსა და სხვა დაინტერესებულ პირებს.

10. კონკრეტული საკითხების მნიშვნელობიდან გამომდინარე, გარკვეული ღონისძიებების განხორციელების, მათზე მონიტორინგისა და რეკომენდაციების შემუშავების მიზნით საბჭო უფლებამოსილია, შექმნას სამუშაო ჯგუფები როგორც საბჭოს წევრებისგან, ასევე, მოწვეული ექსპერტების შემადგენლობით, რომლებიც ანგარიშვალდებულნი იქნებიან საბჭოს წინაშე.

მუხლი 8. „ელექტრონული საბჭოს“ სხდომების გამართვის წესი

1. გარკვეული საკითხების (მ.შ. ცოცხალი დონორისაგან გადანერგვის მიზნით ორგანოს ამოღება „ადამიანის ორგანოთა გადანერგვის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში, ორგანოთა ექსპორტ-იმპორტთან დაკავშირებით წერილობითი თანხმობის გაცემა) განხილვა შესაძლებელია განხორციელდეს ელექტრონულ ფორმატში, საბჭოს სამდივნოს მიერ საბჭოს თავმჯდომარისა და წევრებისადმი შესაბამისი მასალის/დოკუმენტაციის ელექტრონული ფოსტით გადაგზავნის საშუალებით.

2. საბჭოს წევრები ვალდებულნი არიან, 48 საათში მისცენ ხმა განსახილველ საკითხს („მომხრე“, „წინააღმდეგი“, „თავი შეიკავა“).

3. საბჭოს წევრის მიერ განსახილველი საკითხისადმი პოზიციის – „წინააღმდეგი“ დაფიქსირების შემთხვევაში, ის ვალდებულია, დაასაბუთოს უარის თქმის მიზეზი.

4. საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის უმრავლესობის მიერ განსახილველი საკითხის მხარდაჭერის შემთხვევაში, საკითხი ითვლება შეთანხმებულად. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტია თავმჯდომარის ხმა.

5. ამ მუხლით გათვალისწინებული პროცედურის დასრულების შემდეგ დგება ელექტრონული საბჭოს სხდომის ოქმი, რომელშიც აისახება ელექტრონული საბჭოს მიერ საკითხის შეთანხმების შედეგი და მიღებული გადაწყვეტილება.

მუხლი 9. საბჭოს თანხმობა ცოცხალი დონორისაგან ორგანოს აღების შესახებ

1. ცოცხალი დონორებისაგან გადანერგვის მიზნით ორგანოს ამოღება დასაშვებია მხოლოდ „ადამიანის ორგანოთა გადანერგვის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში.

2. საბჭოს თანხმობა ცოცხალი დონორისაგან ორგანოთა გადანერგვის თაობაზე მიიღება საბჭოს სამდივნოსადმი რეციპიენტის/კანონიერი წარმომადგენლის/ტრანსპლანტაციის სერვისის განმახორციელებელი სუბიექტის¹ მიერ შემდეგი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში:

ა) განაცხადი დაგეგმილი ტრანსპლანტაციის შესახებ (დანართი №1.1);

ბ) რეციპიენტის ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (სამედიცინო დოკუმენტაცია – ფორმა №IV-100/ა);

გ) პოტენციური დონორის ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (სამედიცინო დოკუმენტაცია ფორმა №IV-100/ა), რომელიც, ასევე მოიცავს ექიმ-ფსიქიატრის მიერ მის შეფასებას (ან შესაბამისი ექიმი-სპეციალისტის/სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (სამედიცინო დოკუმენტაცია ფორმა № IV-100/ა));

შპს თსსუ და ინგოროყვას მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების საუნივერსიტეტო კლინიკა

¹სამედიცინო დაწესებულება, სადაც იგეგმება ოპერაციის ჩატარება:

დ) რეციპიენტის/კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირებული თანხმობა ტრანსპლანტაციის ოპერაციის ჩატარების შესახებ (დანართი №1.2);

ე) პოტენციური დონორის ინფორმირებული თანხმობა ტრანსპლანტაციის ოპერაციის ჩატარების შესახებ (დანართი №1.3);

ვ) დოკუმენტაცია, რომელიც ადასტურებს პოტენციური დონორისა და რეციპიენტის წინასწარ ჩატარებულ ანტიგენურ თავსებადობას (კვლევის შედეგები);

ზ) ნოტარიულად დამოწმებული ნათესაური კავშირის დამადასტურებელი დოკუმენტები (მ.შ. დაბადების მოწმობა, ქორწინების მოწმობა და სხვ.);

თ) შესაბამისი დარგობრივი პროფესიული ორგანიზაციის ან სერვისის განმახორციელებელი სუბიექტის ეთიკური კომისიის რეკომენდაცია, რომ დაგეგმილი გადანერგვა შეესაბამება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტაცია საბჭოს სამდივნოში წარდგენილი უნდა იქნეს ტრანსპლანტაციის ოპერაციის განხორციელებამდე 15 სამუშაო

დღით ადრე.

4. საბჭოს სამდივნო შემოსულ დოკუმენტაციას განიხილავს 3 სამუშაო დღის ვადაში. არასრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში განაცხადის წარმომდგენს (რეციპიენტი/რეციპიენტის კანონიერი წარმომადგენელი/სამედიცინო დაწესებულება) ეძლევა 2 სამუშაო დღე დოკუმენტაციის მოსაწესრიგებლად, რომლის თაობაზეც მას ეცნობება საბჭოს სამდივნოს მიერ.

5. ცოცხალი დონორისაგან ორგანოთა გადანერგვის თაობაზე თანხმობის გაცემის პროცესში საბჭოს სამდივნო უფლებამოსილია, მოითხოვოს ტრანსპლანტაციასთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა დოკუმენტაცია, ასევე შეისწავლოს და გადაამოწმოს ტრანსპლანტაციის პროცესთან დაკავშირებული კონკრეტული გარემოებები.

6. იმ შემთხვევაში, თუ ამ მუხლის მე-4 პუნქტით დადგენილ ვადაში საბჭოს სამდივნოში არ იქნება წარდგენილი შესაბამისი დოკუმენტები, საბჭოს სამდივნოს მიერ განაცხადის წარმომდგენს ეგზავნება ოფიციალური შეტყობინება ორგანოთა გადანერგვის ოპერაციაზე უარის თქმის შესახებ.

7. დოკუმენტაციის სრულყოფილად წარმოდგენის შემთხვევაში წარმომდგენილ განაცხადსა და დოკუმენტაციას განიხილავს საბჭო.

8. საბჭოს თანხმობა ცოცხალი დონორისაგან ორგანოთა გადანერგვის თაობაზე გაიცემა განაცხადის გაკეთებიდან არაუმეტეს 8 სამუშაო დღის ვადაში.

9. ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტაციის გაყალბება გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

10. პლაცენტისა და ჭიპლარის სისხლის ღეროვანი უჯრედების, ასევე, ძვლის ტვინის გადანერგვა სხვა ადამიანისათვის მკურნალობის მიზნით არ საჭიროებს ტრანსპლანტაციის საბჭოს თანხმობას. ამ შემთხვევაში პლაცენტისა და ჭიპლარის სისხლის ღეროვანი უჯრედების გადანერგვა უნდა განხორციელდეს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

მუხლი 10. საბჭოსათვის ინფორმაციის მიწოდება ორგანოთა გადანერგვის ოპერაციის განხორციელების შემდეგ

ტრანსპლანტაციის სერვისის განმახორციელებელი სუბიექტი ვალდებულია, ინფორმაცია (პაციენტის გაწერისას შევსებული ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა-ფორმა №IV-100/ა-ს ასლი) ორგანოთა გადანერგვის ოპერაციის თაობაზე მიაწოდოს საბჭოს სამდივნოს რეციპიენტის გაწერიდან 10 სამუშაო დღეში.

მუხლი 11. ჯვარედინი დონორობის პრინციპით ორგანოების აღებისა და გადანერგვის წესი

ჯვარედინი დონორობის შემთხვევაში ორგანოთა აღება და გადანერგვა ხორციელდება ამ ბრძანების მე-9 და მე-10 მუხლებით დადგენილი წესით.

დანართი №1 .1

განაცხადი დაგეგმილი ტრანსპლანტაციის შესახებ

ტრანსპლანტაციის სერვისის განმახორციელებელი სუბიექტი:

შპს მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების ცენტრი საუნივერსიტეტო კლინიკა

ტრანსპლანტაციის სერვისის განმახორციელებელი სუბიექტის საიდენტიფიკაციო კოდი:

211385767

ტრანსპლანტაციის სერვისის განმახორციელებელი სუბიექტის მისამართი:

ფაქტობრივი:

____თბილისი, წინანდლის 9

იურიდიული:

____თბილისი, წინანდლის 9

ტრანსპლანტაციის სერვისის განმახორციელებელი სუბიექტის საკონტაქტო ინფორმაცია:

ტელეფონი: 593329900

ელექტრონული ფოსტა:²

____kasradzetamuna@yahoo.com

² არსებობის შემთხვევაში.

რეციპიენტი:

სახელი: გიორგი_____

გვარი: კამკამიძე_____

პირადი ნომერი³:

0	1	0	2	7	0	7	5	5	5	8
---	---	---	---	---	---	---	---	---	---	---

რეციპიენტის მოქალაქეობა:

ქართველი

რეციპიენტის საცხოვრებელი ადგილი: თბილისი

ფაქტობრივი მისამართი: ვარკეთილის 3 მეორე მ-ნი, კორ 9, 859

იურიდიული მისამართი: ვარკეთილის 3 მეორე მ-ნი, კორ 9, ბ59

დონორი:

სახელი: ქეთევან _____

გვარი: კამკამიძე _____

პირადი ნომერი⁴

0	1	0	2	7	0	4	8	0	8	8
---	---	---	---	---	---	---	---	---	---	---

დონორის მოქალაქეობა:

ქართველი

³ არსებობის შემთხვევაში

⁴ არსებობის შემთხვევაში

დონორის საცხოვრებელი ადგილი: თბილისი

ფაქტობრივი მისამართი: ვარკეთილის 3 მეორე მ-ნი კორ 9 ბ123

იურიდიული მისამართი: ვარკეთილის 3 მეორე მ-ნი კორ 9 ბ123

დონორ/რეციპიენტს შორის არსებული კავშირის სახე: და-მმა

დოკუმენტაციის წარმომდგენი პირის (რეციპიენტი/კანონიერი წარმომადგენელი/ტრანსპლანტაციის სერვისის განმახორციელებელი სუბიექტი):

საკონტაქტო ტელეფონის ნომერი:

558000449

ელექტრონული ფოსტა⁵:

kasradzetamuna@yahoo.com

თარიღი: 26/03/2021

⁵ არსებობის შემთხვევაში

რეციპიენტის/კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირებული თანხმობა
ტრანსპლანტაციის ოპერაციის ჩატარების შესახებ⁶
შპს მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების ცენტრი საუნივერსიტეტო კლინიკა

(ტრანსპლანტაციის სერვისის განმახორციელებელი სუბიექტის დასახელება)

⁶ რეციპიენტის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ ინფორმირებული თანხმობა ტრანსპლანტაციის ოპერაციის ჩატარების შესახებ უნდა ხელმოწერილი იქნეს მხოლოდ მისთვის ამ დანართით გათვალისწინებული ინფორმაციის მიწოდებისა და დეტალური განმარტების შემდეგ. ინფორმაციის მიწოდებას უზრუნველყოფს ის ექიმი, რომელიც უშუალოდ ასრულებს ჩარევას და/ან ჩართულია პაციენტის მართვის პროცესში.

რეციპიენტი:

სახელი: გიორგი

გვარი: კამკაშიძე

პირადი ნომერი⁷:

0	1	0	2	7	0	7	5	5	5	8
---	---	---	---	---	---	---	---	---	---	---

⁷ არსებობის შემთხვევაში

რეციპიენტის მოქალაქეობა: ქართველი

რეციპიენტის საცხოვრებელი ადგილი:

ფაქტობრივი მისამართი: ვარკეთილის 3 მეორე მ-ნი, კორ 9, ბ59

იურიდიული მისამართი: ვარკეთილის 3 მეორე მ-ნი, კორ 9, ბ59

გავეცანი რა:

სამედიცინო ჩარევის არსს: თირკმლის ტრანსპლანტაცია

სამედიცინო ჩარევის ჩვენებას: თირკმლის ქრონიკული დაავადება V სტადია

მკურნალობის ალტერნატიულ მეთოდებს:

ჰემოდიალიზი, პერიტონეული დიალიზი

სამედიცინო ჩარევის მოსალოდნელ ეფექტს:
თირკმლის ფუნქციის აღდგენა

სამედიცინო ჩარევის შესაძლო გვერდით მოვლენებს:
თირკმლის ტრანსპლანტატის მწვავე მოცილება, ტრანსპლანტატის შემდგომი
ინფექციური გართულებები, მალიგნიზაცია, გულსისხლძარღვთა სისტემის დაავადებები,
თირკმლის ტრანსპლანტატიდან სისხლდენა, ტრანსპლანტატის სისხლძარღვების
თრომბოზი, პოსტოპერაციული ინფექციები, ურინომა, ლიმფოცელე
სამედიცინო ჩარევასთან დაკავშირებულ, პაციენტის ჯანმრთელობისა და
სიცოცხლისათვის მოსალოდნელ რისკებს:
ოპერაცია მიეკუთვნება საშუალო რისკის მქონე ოპერაციას

მე კამკამიძე გიორგი
(რეციპიენტი/კანონიერი წარმომადგენელი – სახელი, გვარი)

ვადასტურებ, რომ აღნიშნული ჩარევის არსის, ჩვენებების, მოსალოდნელი ეფექტის,
შესაძლო გვერდითი მოვლენების, აგრეთვე ჩარევასთან დაკავშირებული, ჯანმრთელობისა
და სიცოცხლისათვის მოსალოდნელი რისკის გაცნობისა და განმარტების შემდეგ თანახმა
ვარ, განხორციელდეს _____ გადანერგვის ოპერაცია.

რეციპიენტის/კანონიერი წარმომადგენლის
✓ ხელმოწერა: კ. კამკამიძე

ექიმის ხელმოწერა: თ. გ. მ. მ.

ტრანსპლანტაციის სერვისის განმახორციელებელი სუბიექტის
პასუხისმგებელი პირის

ხელმოწერა: გ. ჯიბლაძე

თარიღი: 26.03.2021

დანართი №1.3

პოტენციური დონორის ინფორმირებული თანხმობა ტრანსპლანტაციის ოპერაციის
ჩატარების შესახებ⁸

_შპს თსსუ და ინგოროყვას მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების საუნივერსიტეტო
კლინიკა_

(ტრანსპლანტაციის სერვისის განმახორციელებელი სუბიექტის

დასახელება)

დონორი: კამკამიძე ქეთევანი

სახელი: ქეთევანი

გვარი: კამკამიძე

პირადი ნომერი⁹:

0	1	0	2	7	0	4	8	0	8	8
---	---	---	---	---	---	---	---	---	---	---

დონორის მოქალაქეობა:

_____ ქართველი _____

დონორის საცხოვრებელი ადგილი:

ფაქტობრივი მისამართი: ვარკეთილის 3 მეორე მ-ნი კორ 9 ბ123

იურიდიული მისამართი: ვარკეთილის 3 მეორე მ-ნი კორ 9 ბ123

გავეცანი რა:

⁸ პოტენციური დონორის მიერ ინფორმირებული თანხმობა ტრანსპლანტაციის ოპერაციის ჩატარების შესახებ უნდა ხელმოწერილი იქნეს მხოლოდ მისთვის ამ დანართით გათვალისწინებული ინფორმაციის მიწოდებისა და დეტალური განმარტების შემდეგ. ინფორმაციის მიწოდებას უზრუნველყოფს ის ექიმი, რომელიც უშუალოდ ასრულებს ჩარევას და/ან ჩართულია პაციენტის მართვის პროცესში.

⁹ არსებობის შემთხვევაში

ორგანოს აღებისათვის საჭირო ოპერაციული ჩარევის სახე:

დონორ ნეფრექტომია

ოპერაციული ჩარევის მოცულობა: **ოპერაცია კეთდება ზოგადი ბალანსირებული ანესთეზის ქვეშ, ოპერაცია მიეკუთვნება საშუალო სიმძიმის ოპერაციას**

ოპერაციული ჩარევის რისკი (მ.შ. დონორის ჯანმრთელობაზე ოპერაციული ჩარევის მეყსეული და შორეული, უშუალო და გაშუალებული შედეგების უარყოფითი ზეგავლენის შესაძლებლობა):

ოპერაცია მიეკუთვნება საშუალო რისკის ოპერაციას

ორგანოს გადანერგვის მოსალოდნელი შედეგი (წარმატების თუ წარუმატებლობის ყველა შესაძლებლობა):

რეციპიენტის თირკმლის ფუნქციის აღდგენა

ყველა შესაძლო გარემოება, რამაც შეიძლება იმოქმედოს დონორის გადაწყვეტილებაზე:

ამ	ეტაპისათვის	არ	არის	ცნობილი
----	-------------	----	------	---------

მე კამკამიძე ქეთევანი
(დონორი - სახელი, გვარი)

ვადასტურებ, რომ აღნიშნული ჩარევის არსის, ჩვენებების, მოსალოდნელი ეფექტის, შესაძლო გვერდითი მოვლენების, აგრეთვე ჩარევასთან დაკავშირებული, ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის მოსალოდნელი რისკის გაცნობისა და განმარტების შემდეგ თანახმა ვარ, ჩემი სურვილით, უანგაროდ, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე, მატერიალური ან სხვა ფინანსური დაინტერესების გარეშე მივცე ჩემი

თირკმელი

(ორგანოს დასახელება)

მოქალაქე: კამკამიძე გიორგი პირადი N 01027075558

რეციპიენტის სახელი, გვარი, პირადი ნომერი

დონორის ხელმოწერა: ქეთევანი

ექიმის ხელმოწერა: თეიმურაზი

ტრანსპლანტაციის სერვისის განმახორციელებელი სუბიექტის
პასუხისმგებელი პირის
ხელმოწერა: _____

თარიღი: 26.03.2021 _____

სამედიცინო დოკუმენტაცია ფორმა N. IV-100/ა
ცნობა 0
ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ

1. ცნობის გამცემი დაწესებულების დასახელება ან/და ექიმის პეციალისტის გვარი, სახელი, სახელმწიფო
სერტიფიკატი მინიჭებული სპეციალობა, სახელმწიფო სერტიფიკატის ნომერი ან/და საკონტაქტო ინფორმაცია:
შპს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისა და ინგოროყვას მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების
საუნივერსიტეტო კლინიკა

2. დაწესებულების დასახელება, მისამართი, სადაც იგზავნება ცნობა :

3. პაციენტის სახელი და გვარი : **გიორგი კამკამიძე**

4. დაბადების თარიღი (რიცხვი/თვე/წელი) : **18/05/1997**

5. პირადი ნომერი : **01027075558**

6. მისამართი : **ვარკეთილის 3 2 მიკრო კორ24 ბ.59**

7. სამუშაო ადგილი და თანამდებობა, (მოსწავლის/სტუდენტის შემთხვევაში - იმ სასწავლო
დაწესებულების/
სკოლის დასახელება და კლასი/კურსი, სადაც იგი სწავლობს) :

8. თარიღები: ა) ექიმთან მიმართვის : **27/02/2020 12:01**

ბ) სტაციონარში გაგზავნის :

გ) სტაციონარში მოთავსების :

დ) გაწერის:

9. დასკვნა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ან სრული დიაგნოზი (ძირითადი
დაავადება, თანმხლები
დაავადება, გართულებები) :

N18.5 თირკმლების ქრონიკული დაავადება, სტადია 5

Z94.0 გადანერგილი თირკმლის არსებობა

Z99.2 თირკმლის დიალიზზე დამოკიდებულება

10. გადატანილი დაავადებები :

11. მოკლე ანამნეზი :

პაციენტთან სახეზეა თირკმლის ტრანსპლანტაციის შემდგომი პერიოდი, 2011 წელი თირკმლის

ტრანსპლანტაცია, ცოცხალი დონაცია, დონორი მამა,

პაციენტთან 2014 წელს თირკმლის ბიოფსიის საფუძველზე დაისვა დიაგნოზი: De novo IgA ნეფროპათია

2020 წლის დეკემბერში პაციენტთან დაისვა დიაგნოზი: თირკმლის ქრონიკული დაავადება V სტადია, და
დაწყებულ იქნა ჰემოდიალიზის სეანსები

პაციენტთან დაიგეგმა თირკმლის ტრანსპლანტაცია (რეტრანსპლანტაცია)

პაციენტს უტარდება იმუნოსუპრესიული თერაპია - მეთილპრედნიზოლონი 4მგ ყოველ მეორე დღეს,

ტაკროლიმუსი 2-0-2მგ

12. ჩატარებული დიაგნოსტიკური გამოკვლევები და კონსულტაციები

27.2.2020

- ZYX90 - ნეფროლოგიის კონსულტაცია

13. ავადმყოფობის მიმდინარეობა : ქრონიკული

14. ჩატარებული მკურნალობა :

15. მდგომარეობა სტაციონარში გაგზავნისას

16. მდგომარეობა სტაციონარიდან გაწერისას



17. სამკურნალო და შრომითი რეკომენდაციები : პაციენტთან სახეზეა თირკმლის ქრონიკული
დაავადება V სტადია, იმყოფება ჰემოდიალიზზე, უტარდება ჰემოდიალიზის სეანსები 13 საათის
ხანგრძლივობით კვირაში. პაციენტთან დაიგეგმა თირკმლის ტრანსპლანტაცია (რეტრანსპლანტაცია),
ჩაუტარდა წინასაოპერაციო კვლევები, ოპერაციის წინააღმდეგჩვენება არ იქნა გამოვლენილი,
პაციენტთან იგეგმება თირკმლის ტრანსპლანტაცია

18. **ოკუოიალი ექიმი(ექიმი-სპეციალისტი)** : თამარ კასრაძე *თამარ*
19. **დაწესებულების ხელმძღვანელის / ხელმძღვანელის მოადგილის / მკურნალი ექიმის(ექიმი-სპეციალისტის) ხელმოწერა** : **ბაადურ მოსიძე**

20. **ცნობის გაცემის თარიღი** : 26/03/2021



A20200017139

სამედიცინო დოკუმენტაცია ფორმა N. IV-100/ა
ცნობა 0
ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ

1. ცნობის გამგეში დაწესებულების დასახელება ან/და ექიმი-სპეციალისტის გვარი, სახელი, სახელმწიფო
სერტიფიკატი მინიჭებული სპეციალობა, სახელმწიფო სერტიფიკატის ნომერი ან/და საკონტაქტო ინფორმაცია:
შპს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისა და ინფორმაციას მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების
საუნივერსიტეტო კლინიკა

2. დაწესებულების დასახელება, მისამართი, სადაც იგზავნება ცნობა :

3. პაციენტის სახელი და გვარი : ქეთევან კამკამიძე

4. დაბადების თარიღი (რიცხვი /თვე /წელი) : 13/04/1989

5. პირადი ნომერი : 01027048088

6. მისამართი : ვარკეთილის 3 2 მიკრო 9 კორპ 123 ბინა

7. სამუშაო ადგილი და თანამდებობა, (მოსწავლის/სტუდენტის შემთხვევაში - იმ სასწავლო
დაწესებულების/
სკოლის დასახელება და კლასი/კურსი, სადაც იგი სწავლობს) :

8. თარიღები: ა) ექიმთან მიმართვის : 21/09/2020 15:51

ბ) სტაციონარში გაგზავნის :

გ) სტაციონარში მოთავსების :

დ) გაწერის:

9. დასკვნა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ან სრული დიაგნოზი (ძირითადი
დაავადება, თანმხლები
დაავადება, გართულებები) :

Z00.5 ორგანოს ან ქსოვილის პოტენციური დონორის გამოკვლევა

10. გადატანილი დაავადებები :

11. მოკლე ანამნეზი :

პაციენტმა მოგვმართა ძმისათვის თირკმლის დონაციისათვის წინასაოპერაციო კვლევების ჩატარების
მიზნით

პაციენტი გადატანილ დაავადებებს არ აღნიშნავს, ჰქონდა 3 ორსულობა, 2 ფისაკეისრო კვეთა, 1
ფიზიოლოგიური მშობიარობა

ანამნეზიდან დიაგნოსტირებულია ჰიპოთირეოზი, რის გამოც იმყოფება ჩანაცვლებით თერაპიაზე-
ეუთიროქსი 75მგ 1 ჯერ დღეში

12. ჩატარებული დიაგნოსტიკური გამოკვლევები და კონსულტაციები

21.9.2020

- ZYX90 - ნეფროლოგიის კონსულტაცია

13. ავადმყოფობის მიმდინარეობა :

14. ჩატარებული მკურნალობა :

15. მდგომარეობა სტაციონარში გაგზავნისას

16. მდგომარეობა სტაციონარიდან გაწერისას

17. სამკურნალო და შრომითი რეკომენდაციები : ძმისთვის თირკმლის დონაციის მიზნით პაციენტს
ჩაუტარდა პოტენციური დონორობისთვის აუცილებელი წინასაოპერაციო კვლევები, ჩატარებული
კვლევებით დონორ ნეფრექტომიის წინააღმდეგ ჩვენება არ იქნა გამოვლენილი.

18. მკურნალი ექიმი(ექიმი.სპეციალისტი) : თამარ ვასრამე

19. დაწესებულების ხელმძღვანელის / ხელმძღვანელის მოადგილის / მკურნალი ექიმის(ექიმი-
სპეციალისტის) ხელმოწერა : ბაადურ მოსიძე



თირკმლის ტრანსპლანტაცია რეციპიენტის და დონორის ინფორმირებული თანხმობის ფორმა (შემუშავებულია საქართველოს ტრანსპლანტოლოგთა ასოციაციის მიერ 2017 წელს)

დოკუმენტის მიზანია ობიექტურად ასახოს ინფორმაცია თირკმლის ტრანსპლანტაციასთან დაკავშირებული რისკების, სარგებლისა და ალტერნატიული მეთოდების შესახებ.

გამომდინარე იმ ეთიკური მოსაზრებიდან, რომ როგორც რეციპიენტმა, ისე დონორმა უნდა იცოდნენ თუ რა პოტენციური რისკის წინაშეა თითოეული მათგანი, გადაწყვეტით ოპერაციასთან დაკავშირებული ყველა შესაძლო ახლო და შორეული გართულება და მასთან დაკავშირებული რისკი გავაცნოთ ოპერაციის მონაწილე ორივე მხარეს: რეციპიენტმა უნდა იცოდეს თუ რა რისკზე მიდის დონორი, ხოლო დონორმა უნდა იცოდეს თუ როგორი შედეგი შეიძლება მოჰყვეს მის ალტრუისტულ ქმედებას.

დონორისგან ინფორმირებული თანხმობის მიღებას არ უნდა ესწრებოდეს რეციპიენტი, რეციპიენტის ოჯახის წევრი ან სხვა ადამიანი, რომელმაც შეიძლება გავლენა იქონიოს გადაწყვეტილების მიღებაზე.

ზოგადი ინფორმაცია.

თირკმელი არის ფილტრი, რომელიც ემსახურება სისხლის წმენდას და ორგანიზმიდან შარდის გზით მეტაბოლიზმის შედეგად გამომუშავებული ნარჩენი პროდუქტების გამოტანას. თირკმლის უკმარისობას ძალიან ბევრი დაავადება იწვევს. თუ თირკმელების ფუნქციონირება უარესდება, შესაბამისად ნარჩენი პროდუქტების გამოდევნაც ფერხდება. თუ ეს მდგომარეობა შეუქცევადია შესაბამისი ზომების მიუღებლობის შემთხვევაში მდგომარეობა მძიმდება და შესაძლოა პაციენტი გარდაიცვალოს.

თირკმლის ტრანსპლანტაცია თირკმლის ქრონიკული უკმარისობის ტერმინალური სტადიის მკურნალობის ქირურგიული მეთოდია, რომელიც გულისხმობს ჯანმრთელი, ფუნქციონირებადი ორგანოს ჩანერგვას ორგანიზმში საკუთარი, არასაკმარისად მოფუნქციე თირკმელების ჩასანაცვლებლად.

თირკმლის ტრანსპლანტაციის ალტერნატივას პერიტონული ან ჰემოდიალიზი წარმოადგენს, ამ დროს პაციენტი კვირაში სამჯერ 2-3 საათის განმავლობაში შეერთებულია ჰემოდიალიზის აპარატთან (ჰემოდიალიზის დროს) ან თვითონ იკეთებს მუცლის ღრუს ყოველდღიურ გამორეცხვას მასში ჩადგმული კათეტერის საშუალებით (პერიტონული დიალიზის დროს). დიალიზის მეთოდის გამოყენებისას პაციენტის სიცოცხლის ხანგრძლივობა ნაკლები, ხოლო ცხოვრების ხარისხი შეუდარებლად დაბალია.

ოპერაციის ტექნიკური დეტალები.

დონორისგან თირკმლის ამოღების და რეციპიენტისთვის გადანერგვის ოპერაცია ზოგადი გაუტკივარების ფონზე წარმოებს. დონორის შემთხვევაში განაკვეთი წელის არეშია, რეციპიენტის შემთხვევაში - თეძოს მარჯვენა ან მარცხენა ფოსოს არეში. დონორიდან ერთ-ერთი თირკმლის ამოკვეთის შემდეგ იგი ინერგება რეციპიენტის სხეულში: დონორის თირკმლის არტერია და ვენა მიკერდება რეციპიენტის თეძოს არტერიასა და ვენას, ხოლო შარდსაწვეთი - რეციპიენტის შარდის ბუშტს. ამ უკანასკნელში, ოპერაციის დროს შეიძლება დატოვებული იქნეს პატარა ზომის კათეტერი (სტენტი), რომელიც ამოღებული იქნება ოპერაციის შემდგომ პერიოდში.

უმრავლეს შემთხვევაში რეციპიენტის თირკმელები არ ამოიღება, თუ იგი არ არის ძალიან დიდი პოლიკისტოზურად გადაგვარებულობის გამო ან თუ არ წარმოადგებს ინფექციის წყაროს.

დონორის ოპერაცია შესაძლოა ჩატარდეს ლაპაროსკოპიულად (მცირე განაკვეთით, ენდოსკოპიური აპარატურის გამოყენებით). შესაძლოა გადანერგვის წინ საჭირო გახდეს დონორიდან ამოღებული თირკმლის სისხლძარღვების რეკონსტრუქცია. ამ დეტალებს მკურნალი ექიმი გაგაცნობთ.

დონაციის ნებაყოფლობითობა და ალტრუიზმი.

დონორის თანხმობა ოპერაციაზე უნდა იყოს ნებაყოფილობითი, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე, უანგარო.

ორგანოში თანხის აღება ან სხვა მატერიალური დაინტერესება ითცვლება ორგანოს ტრეფიკინგად და ისჯება კანონით როგორც კრიმინალური ქმედება.

დონორს უფლება აქვს შეიცვალოს გადაწყვეტილება ნებისმიერ დროს.

ოპერაციის მოსალოდნელი შედეგი.

წარმატებული თირკმლის ტრანსპლანტაციის შემთხვევაში:

1. დიალიზი აღარ არის საჭირო. პაციენტების უმრავლესობაში თირკმლის ტრანსპლანტაციის შემდგომ უმჯობესდება ცხოვრების ხარისხი და ხანგრძლივობა გაცილებით მაღალია იმ პაციენტებთან შედარებით რომლებიც იმყოფებიან დიალიზზე;
2. პაციენტებში უმჯობესდება სისხლის მაჩვენებლები, ძვლების მდგომარეობა, ზრდა, მადა. დიალიზთან შედარებით ნაკლებად იზღუდება საკვები პროდუქტები;
3. დონორი არის პრაქტიკულად ჯანმრთელი. კლინიკიდან გაწერის შემდეგ არ ესაჭიროება არავითარი მედიკამენტური მკურნალობა.

ოპერაციასთან დაკავშირებული რისკი.

ოპერაციული ჩარევა დაკავშირებულია გარკვეულ რისკთან, როგორც რეციპიენტის, ისე დონორის მხრივ, რაც გაცნობიერებული უნდა იქნეს ოპერაციამდე, გადაწყვეტილების მიღების დროს.

- როგორც რეციპიენტთან, ისე დონორთან პოსტოპერაციულად შესაძლოა განვითარდეს ჭრილობასთან დაკავშირებული პრობლემები, კერძოდ, გამონადენი ან დაინფიცირება, რისთვისაც შესაძლოა დაგჭირდეთ მისი დრენირების მიზნით ჭრილობაში დროებითი დრენაჟის ჩაყენება. შესაძლოა პოსტოპერაციულად განვითარდეს თიაქარი.
- როგორც დონორს, ისე რეციპიენტს, ოპერაციის შემდგომ პერიოდში შეიძლება აღენიშნოს ტკივილი ჭრილობის არეში, რომლის ინტენსივობა ქვეითდება რამოდენიმე კვირის განმავლობაში. იშვიათ შემთხვევებში შესაძლებელია ტკივილის გახანგრძლივება, რომლის კუპირებისათვის საჭირო ხდება ტკივილგამაყუჩებელი მედიკამენტების გამოყენება. პაციენტების მცირე ნაწილში

ასევე შესაძლებელია ჭრილობის მიმდებარე არის მგრძნობელობის დაქვეითება ან სრული გაქრობა.

- როგორც რეციპიენტთან, ისე დონორთან (უფრო ნაკლები ალბათობით) შესაძლოა დადგეს სისხლის გადასხმის საჭიროება. ოპერაციამდე ხელი უნდა მოეწეროს სისხლის და სისხლის პროდუქტების გადასხმის ინფორმირებული თანხმობის ფორმას, ვინაიდან სისხლი ცოცხალი ქსოვილია და მის გადასხმასთან დაკავშირებულია ისეთი რისკები, როგორიცაა ინფექცია, ალერგიული რეაქცია და სხვ.
- რეციპიენტების დაახლოებით 5 %-ში ოპერაციის მსვლელობის დროს და ოპერაციის შემდგომ პერიოდში შესაძლოა განვითარდეს ისეთი ქირურგიული გართულებები, როგორიცაა სისხლდენა, ინფექცია, შარდსაწვეთის ნაკერის უკმარისობით გამოწვეული შარდის ჟონვა (ურინომა), თიაქარი, სისხლძარღვების თრომბოზი, შარდსაწვეთის სტენოზი, ლიმფის ჟონვა, რისთვისაც ხანდახან საჭირო ხდება დამატებითი ქირურგიული ჩარევები. პაციენტების მცირე ნაწილში ზემოთაღნიშნული გართულებების ფონზე შესაძლოა დადგეს ლეტალური გამოსავალი.
- პოსტოპერაციულ პერიოდში შეიძლება განვითარდეს მოცილების საწინააღმდეგო მკურნალობის გვერდითი მოვლენები, კერძოდ: გამონაყარი კანზე, ოსტეოპოროზი, ოსტეონეკროზი, დიაბეტი, ჭარბთმიანობა ან თმის ცვენა, არტერიული წნევის მომატება, ქოლესტერინის მომატება, სიმსივნის (განსაკუთრებით კანის და ლიმფომის) რისკის გაზრდა, ინფექცია, შეშუპება, წონაში მომატება.
- პაციენტებს, რომელთანაც ხორციელდება თირკმლის გადანერგვა, მთელი დარჩენილი ცხოვრების განმავლობაში, სანამ ატარებენ გადანერგილ ორგანოს, ორგანიზმის მიერ თირკმლის ტრანსპლანტატის მოცილების თავიდან აცილების მიზნით ესაჭიროებათ იმუნოსუპრესიული მედიკამენტების მიღება. ამ მედიკამენტებმა შესაძლოა გამოიწვიონ სერიოზული და პოტენციურად სიცოცხლისათვის საშიში გართულებები, როგორიცაა ინფექცია, სხვადასხვა ტიპის ავთვისებიანი სიმსივნე, თირკმლის უკმარისობა და ნერვული სისტემის დაზიანება. ამ მედიკამენტებმა შესაძლოა ასევე გამოიწვიონ სისხლის წნევის მატება, ქოლესტერინის დონის მატება, ძვლების დასუსტება, ძვლის ტვინზე ზემოქმედება და კოსმეტიკური გვერდითი ეფექტები: სახის შეშუპება, აკნე, ჭარბთმიანობა ან თმის ცვენა.
- რეციპიენტებში, დაახლოებით 10%-მდე შემთხვევებში, შესაძლებელია ისეთი სერიოზული გართულებების განვითარება, როგორიცაა: პნევმონია, მსხვილი ვენების თრომბოზი, დონორიდან დასნებოვნება, რეციპიენტის ძირითადი დაავადების გადანერგილ ორგანოში აღმოცენება, ტრანსპლანტატის ფუნქციონირების დაქვეითება ან დასაწყისიდანვე უფუნქციოება, მულტიორგანული უკმარისობა, მიოკარდიუმის ინფარქტი, ინსულტი, ავთვისებიანი სიმსივნეები. იმუნოსუპრესიის მიუხედავად 8-10 %-ში გადანერგილი ორგანოს მოცილების რეაქციის განვითარება. შესაძლებელია ზემოაღნიშნულმა გართულებებმა გამოიწვიონ პაციენტის სიკვდილიც.
